№ 26

29 ივნისი

# ივერია

1909 წ.

ფასი ერთი შაური

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან. წლის დასლევამდი. 2 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

## ბაღი რესტორანი
## „ЮЖАНЕ“ (სამხრეთელები)

დვორცოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის თეატრთან — ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის ტფილისის საზაფხულო თეატრის საოპერო ორკესტრი ბ-ნ **პოლიკარპეს** ხელმძღვანელობით. სადილი ორი ბლუდიდან ღირება — 60 კაპ. 3-დან 80 კ. 4-დან — 1 მან. აქვე არის საჭმელების სია და პრეისკურანტი ყველანაირის საგნებისა.

ფასები ხელმისაწდომია. **შესვლა უფასოა.**

## გაიღო
## „კაფე ლონდონი“

გოლოვინის ქუჩა, მანთაშევის სახლი № 6 „სობრანიეს“ ქვეშ. მუდამ იყიდება: ხილეულის და მინერალური წყლები საუკეთესოდ მოწყობილ ქარხნის

## მ. ე. ლაღიძის და კომპ.

აგრეთვე ყავა, ჩაი, შოკოლადი, მაწონი, მაროჟნი, ლუდი ადგილობრივი და შემოტანილი, სხვა და სხვა ცივი ზაკუსკა, ბუტერბროდი, ცხელი პიროჟკები და პიროჟნები. სისუფთავე და კარგი სამსახური. კაფესთან ბაღია წყლის შარავანდით.

**პატივისცემით ნეფარიძე და ამხ.**

მიიღება ხელის მოწერა

## დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად:** 1) **ლექსები,** 2) **მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, რაც დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაეცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავის თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში.

## საგაგაშიველო-თხინვალის

ადგილების მყიდველთა საყურადღებოთ

ამ წლის 27 აპრილს გაუთავდა ვადა ბ-ნთ მაჭავარიანსა და გელოვანს, რომელნიც ჰყიდნენ ამ ადგილებს. ახლა მამულის პატრონნი ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ამ ადგილების მყიდველთ უნდა მიმართონ ჩვენ რწმუნებულს დავით წულუკიძეს (სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა, № 113).

**გიორგი ხიმშიაშვილი.**
**ოპეკუნი გ. ნ. დიასამიძე.**

დაიბეჭდა და იყიდება

ახალი წიგნი

## „Сборникъ грузинскихъ поэтовъ“

რუსულად ნათარგმნი

**კნ. ს. ვ. ამირეჯიბისა**

იყიდება ტფილისში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზ., ხიდდეკელთანდა „ნოვაია რეჩში“. 3—1

ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

**ფორტეპიანოს ამწყობი**

## გ. ლ. ხარიშჩაროვი

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

**მიიღება შესაკეთებლად** ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით **იყიდება** როიალიდან და პიანინოდან მტვერის **გამოსაბერავი.** ფასი 3 მანეთი.

კახეთი მევენეთა ამხანაგობა

## საერო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

**ეკატერინე დავითის ასული ლორთქიფანიძისა** შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ მეუღლის

## ვლადიმერ ბესარიონის ძის ლორთქიფანიძის

განსვენებულის ცხედარს ტფილისის სადგურზე მოასვენებენ დღეს, 29 ივნისს დილის მატარებლით. სადგურიდან ცხედარს წაასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

**გაზ. „დროების“ რედაქცია** ღრმა მწუხარებით აუწყებს მკითხველთ გარდაცვალებას რედაქციის წევრის და თანამშრომლის

## ვლადიმერ ბესარიონის ძის ლორთქიფანიძისას

განსვენებულის ცხედარს ტფილისის სადგურზე მოასვენებენ დღეს, 29 ივნისს დილის მატარებლით. სადგურიდან ცხედარს წაასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

## სანატორიუმი

ექ. ვ. დ. ღამბაშიძისა

პატარა ცემი ბაკურიანთან.

## კაფე პარიზი!!

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში (Дворцовая ул.)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პიროჟკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

## ხაჭაპური

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის — საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

კახეთის ნამდვილი

ღვინო



ტფილისი, ბებუთოვის № 31

„ქმობა“

**ტფილისი, 29 ივნისა.**

სამხედრო წესები კავკასიას ახსნეს, — დასტოვეს ხსენებული წესები მხოლოდ ქ. ტფილისში და ტფილისის მაზრაში და რკინის გზის ლიანდაგზე. ამბობენ აქაც მალე მოსპობენო... ნეტავი! ნეტავი, რადგანაც სამხედრო წესებმა ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანეს საზოგადოებას და ბევრი უსიამოვნება კი მიაყენეს მას, მოუსპეს ხალხს ბუნებრივ განვითარების საშუალება, ადამიანი ადმინისტრაციის ნებაზე დასტოვეს, ადმინისტრაციის ხშირად ცვალებად სურვილებს დაუმორჩილეს.

ნეტავი! ნეტავი იმიტომ, რომ სამხედრო წესების მოხსნა, რაც უნდა იყოს, მთავრობის მიერ შერიგებისკენ ერთი ბიჯია და, სადაც ერთი ბიჯი გადაიდგა, იქ მეორე და მესამეც გადაიდგმის, იქ მეტი იმედია, რომ ბოლოს მიენიჭება საზოგადოებას ის უფლებები, რომელიც მას უნდა ჰქონდეს სახელმწიფოში, რომ საზოგადოება მონობას მოშორდება და საკუთარ საქმეების მართვასა და გამგეობაში ბატონი გახდეს...

ნეტავი! ნეტავი იმიტომ, რომ საზოგადოების ასეთი გაბატონება ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელი საჭიროა, იმიტომ, რომ სხვის ნებაზე მოსიარულე, სხვის გუნებაზე დამოკიდებული ხალხი ვერასოდეს ვერ გამოიჩენს საჭირო მხნეობას და შესაფერისად ვერ მოიხმარს თავის ძალებს... ეს ძალები უსარგებლოდ ჰქრება და ხალხი კულტურულ განვითარებას ვერ ახერხებს.

მართალია, სამხედრო წესების მოსპობა თავის თავად არ გულისხმობს საზოგადოების გაბატონებას. სამხედრო წესების გარეშეც მთავრობას მრავალი სხვა საშუალება აქვს საზოგადოების ხელში დასაჭერად, ადმინისტრაციას კანონით კიდევ მრავალი უფლებები აქვს დარჩენილი იმ დროიდან, როდესაც ხალხის განვითარებაზე ლაპარაკიც კი ბოროტმოქმედებათ ითვლებოდა, როდესაც პლევე ახრჩობდა ყოველ თავისუფალ მისწრაფებას ხალხში... მაგრამ ის, რაც გამოიარა ხალხმა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ადმინისტრაციას ამ უფლებების სარგებლობას არ აცლის და ამნაირად ხალხს კანონით თუ არა, ფაქტიურად მაინც ზოგიერთ რამეში სამხედრო წესების მოსპობით მეტი თავისუფლება ექმნება...

ვისურვებთ მხოლოდ, რომ ეს თავისუფლება ხალხმა გამოიყენოს არა ერთმანეთზე გასალაშქრებლად და შინაურ განხეთქილების ჩამოსაგდებად, როგორც ეს ამ ოთხი წლის წინეთ მოხდა, არამედ იმისთვის, რომ დაცულ იქნას ქართველ ერის ძირითადი უფლებები და რომ ქართველმა ერმა ქონებრივად და კულტურულად განვითარება მოახერხეს. ეს განვითარება თავისუფლების საუკეთესო საფუძველია.

კ. თ.

## ახალი ამბები და დეპეშები

✦ ტფილისის მარშლების არჩევნები ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის საჩივარი შეუტანიათ სიღნაღის მაზრის არჩევნებში ისეთი პირები იღებდენ მონაწილეობას, რომელთაც კენჭი არა აქვთ. ამ მაზრის არჩევნები გაუქმებული თუ იქნა, შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე გუბერნიის მარშლის არჩევნებიც რადგანაც ამ არჩევნებშიაც მიუღიათ მონაწილეობა განსაჩივრებულ პირებს.

✦ აბასთუმანში, ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოღვაწე სათავად-აზნაურო გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი ვლად. ლორთქიფანიძე, მიცვალებულის ცხედარს დღეს დილით მოასვენებენ ტფილისში.

✦ **ვოსტორგოვი ციმბირში.** კრასნოიარსკში ადგილობრივ მემარჯვენეთა კრება მოხდა. ვოსტორგოვი ამ კრებაზე აგინებდა ურიებს, პოლონელებს, გერმანელებს, მილიუკოვს, როდიჩევს, კარაულოვს, გეგეჭკორს და სხ. კრებამ გადასწყვიტა ხელმწიფეს სთხოვონ სათათბიროს დათხოვნა.

✦ ტფილისის გუბერნიის მარშლის თანამდ. ალმ. თავ. პ. ი. თუმანიშვილი ბორჯომში წავიდა მედვედიევისაგან ნაყიდ კოლექციების ჩასაბარებლად.

✦ ქუთაისში სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ხსნიან, როგორც გავიგეთ ადგილობრივ გუბერნატორს საამისო შუამდგომლობის საფუძვლად მიუღია ქუთაისის საურთიერო ბანკის ყოფილ თავმჯდომარის თავ. პ. ა. თუმანიშვილის მოხსენება, რომელიც გუბერნატორს ნამესტნიკისთვის გაუგზავნია.

✦ **ბერების რაოდენობა.** რუსეთში სულ 810 მონასტერი ყოფილა, ბერების მონასტერია 300 მონაზნების 228. ბერი ყოფილა 9807, მონაზონი 11870. მორჩილი მონასტერში 81004 ქალების მონასტერში კი 35569.

**სახალხო სახლი.** პარასკევს, 26 ივნისს 1909 წ. ახალგაზდა სცენის მოყვარეთა მიერ ახალგაზდა რეჟისორის ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნა პირველად ქართულ სცენაზე დ'ანუნციოს პიესა „იორიოს ასული“, თარგმ. იოსებ იმედაშვილისა წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. საყურადღებოა, რომ ამ საღამოს პასუხსაგებ როლებში სრულიად ახალგაზდა სცენის მოყვარენი გამოვიდნენ, და უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის ნაკისრ საქმეს სრულიად არ უმტყუნეს. ჩვენ არ მოველოდით ამ გვარ წარმოდგენას. მთელ წარმოდგენას ნათლად ეტყობოდა რეჟისორის მუყაითი ხელი და სცენის მუშაკთა მხნეობა. დაკვირვებულის თამაშით განირჩეოდნენ პ. დადვაძე (მწყემსი ალიჯი), ამირეჯიბი (მწყემსის და ორნელა) ქიქოძე (კანდია), მ. მდივანი (იორიოს ასული), თუმცა როლი სუსტად იცოდა, რაც მინუსია მსახიობის თამაშში. დიდი მადლობის ღირსია რეჟისორი, რომელმაც ამ საღამოს ნამდვილი ხელოვნებით დაგვატკბო, მხოლოდ ძლიერ სამწუხაროა, რომ პიესის მხოლოდ ერთი მოქმედება მიდიოდა, რამაც სავსებით ვერ გამოარკვია მსახიობთა ძალა ან სუსტი მხარეები. ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ ეს პიესა სრულად დაიდგას. დასასრულ ითამაშეს „რუკი ვერხ“ ვოდ. რუსულიდან გადმოკეთებული (!) ურუშაძისა. ძლიერ ბევრი აცინეს საზოგადოება იმედაშვილ-ხაშმელმა და და ურუშაძემ. შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება. ყველა მონაწილენი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

ხალხი საკმაოდ დაესწრო წარმოდგენას.

## ქუთაისის საურთიერთო ბანკი

—

კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ქუთაისის საურთიერთო ბანკის საქმეებს. ბ. ანდრია ერისთავმა გაზ. „ზაკავკაზიეში“ დაბეჭდა ის მოხსენება, რომელიც გამგეობის მხრივ წარდგენილი ყოფილა წლიურ კრებაზე და რომლის თანახმად კრებამ ბანკის წლიური ანგარიში მიიღო.

ამ მოხსენების წაკითხვა გვიმტკიცებს, რომ გამგეობას განზრახ შეცდომაში შეუყვანია წევრები და მოუსურვებია მათთვის საქმის ნამდვილი მდგომარეობა არ გაემხილა...

ბანკის ნამდვილი პატრონი საზოგადო კრებაა და არა გამგეობა, რომელსაც კრება ირჩევს და სამსახურისთვის ჯამაგირს აძლევს, ამიტომ შეუწყნარებელი ბოროტმოქმედებაა გამგეობის მხრივ სიმართლის დამალვა... ამ ბოროტმოქმედებას ყოველთვის საქმისთვის საზარალო შედეგი მოჰყვება. ასეთი შედეგი აუცილებელია ქუთაისის ბანკისთვისაც, საზოგადოება სიმართლეს დროზე თუ ვერ გაიგებ...

გამგეობა თავის მოხსენებაში ცდილობს დაუმალოს საზოგადოებას ბანკის ახლანდელი მდგომარეობა. საზოგადოებისთვის საჭიროა იმისი ცოდნა, ბანკის ახლანდელ ოპერაციებს მოგება მოჰყვება თუ ზარალი, თუ მოგებაა, ამ მოგების რაოდენობა უნდა იყოს გამონაგარიშებული, თუ ზარალია, მისი რაოდენობაც უნდა იცოდეს საზოგადოებამ.

გამგეობა ამის სამაგიეროდ ცდილობს გზა-კვალი აუბნიოს საზოგადოებას. მართლაც, მოგება-ზარალის გამონაგარიშება რომ სდომებოდა გამგეობას, ადვილი იყო. ეს გამონაგარიშება ადვილია ახლაც დაბეჭდილ ანგარიშების მიხედვით იმისთვის, ვისაც ბანკის ოპერაციები შეუსწავლია. ეს გამონაგარიშება არ ისურვა ბანკის გამგეობამ... რისთვის?

მართლაც, გადაშალეთ ბანკის უკანასკნელ წლის დაბეჭდილი ანგარიშები: გვ. 22—23-ზე წაგება-მოგების ანგარიშში დაუკვირდით იმას რასაც ჩვენ ამოვიწერთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბანკს **მიუღია**: თამასუქების განაღდებაში | 38,640 მ. | 60 | კ. |
| სხვადასხვა გირაოში | 7,475 მ. | 00 | კ. |
| კიდევ | 7,087 მ. | 46 | კ. |
| მომგებიან ქაღალდების სარგებელი | 4,321 მ. | 55 | კ. |
| სახლის ქირა | 3,227 მ. | 14 | კ. |
| სულ: | 59,751 მ. | 76 | კ. |

ეს არის და ეს... ეს არის წლიურ ოპერაციების შემოსავალი. დანარჩენი ან შემთხვევითი შემოსავალია ან იმ ზარალის აღსადგენია, რომელიც 1904 წელს მთავრობის განკარგულებით ჩაიწერა ანგარიშებში ბანკმა.

ახლა ხარჯებს დავხედოთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| შემოტანილ ფულში სარგებელი | 16052 მ. | 56 | კ. |
| გადაგირავებულ თამასუქებში | 26,381 მ. | 76 | კ. |
| გადაგირავებულ საქონელში და ქაღალდებში | 13,588 მ. | 41 | კ. |
| ბანკებიდან ნასესხ ფულში (8379 მ. 60 კ.—4684 მ. 20 კ.) | 3,695 მ. | 40 | კ. |
| დაგირავებულ სახლის შესატანი | 4,889 მ. | 83 | კ. |
| ბანკის ხარჯები | 25,163 მ. | 66 | კ. |
| სახლის ხარჯები | 1,120 მ. | 81 | კ. |
| სულ: | 79,372 მ. | 50 | კ. |

ამას რომ გამოვაკლოთ ზემოთ ნაანგარიშევი შემოსავალი 59751 მან. 76 კ. დაგვრჩება წლიური ზარალი 19620 მან. 74 კაპ.

აი ეს უნდა ეთქვა გამგეობას და ამის შემდეგ ეჩვენებინა, რომ ხსენებული ზარალი მან სხვა და სხვა წყაროდან დაფარა: 8000 მან. ბანკს შემოუვიდა ნაპროტესტალ თამასუქებში, თითქმის 17 ათას მანეთამდე მარგანეცის მოგება მოხმარდა ამავე ზარალის დახურვას-

მაგრამ ეს ნაპროტესტალი თამასუქების შემოსავალი, ეს მარგანეცის მოგება ხომ იმ ძველი ზარალის შემოსავალია, რომელმაც 1904 წელს ასე დააფრთხო წევრები... ამ ნაპროტესტალ თამასუქების და ამ მარგანეცის მოგება აგერ ხუთი წელიწადია ჰკვებავს ბანკს, რომელსაც ყოველწლიურად არა ნაკლებ 20—30 ათას მანეთის ზარალი აქვს, ამ მოგების იმედით გამგეობა შემდეგშიაც რჩება როდესაც თავის მოხსენებაში აცხადებს. ძველ თამასუქებში უფრო მაგრად უნდა მოვთხოვოთ ფული ძველ მოვალეებს, ეს აუცილებელია, რადგანაც მარგანეცი უკვე გამოგველიაო...

მეტად საგულისხმოა გამგეობის ასეთი სიტყვები: იგი შემდეგშიაც იმის იმედით რჩება, რისი იმედით დღემდისაც მოქმედობდა: მას უნდა ბანკი ასაზრდოვოს იმ ფულით, რომელიც ძველ ზარალში უბრუნდება ბანკს...

ძალა უნებურად გაგახსენდებათ ხალხური ანდაზა: ურია რომ გაკოტრდება, ძველ ვალებს მაშინ გაიხსენებსო. ბანკი მხოლოდ მაშინ არის მტკიცე ნიადაგზე დაყენებული, როდესაც მას მისი წლიური შემოსავალი ყოფნის. ძველ ზარალში შესულ ფულის შეჭმა თავნის შეჭმას უდრის და რომელი ვაჭარი თავნს შესჭამს და ამის მედით თავის ვაჭრობას განაგრძობს?

ბანკი წევრებისათვის არსებობს, მით უფრო საურთიერთო ნდობის ბანკი. ბანკმა ისე უნდა აწარმოვოს საქმეები, რომ არც თვითონ იზარალოს, არც წევრებს აზარალოს. ბანკმა უზარალოთ თუ იწარმოვა და სამაგიეროთ წევრებს თუ აზარალა, ეს ვერაფერი საურთიერთო ბანკი იქნება. გამგეობას კი უნდა წევრებს კიდევ 180,000 მანეთი გადაახდევინოს და ამითი თავისი საკუთარი ზარალი დაფაროს. რად უნდა წევრებს ბანკი, თუ მათ ამდენი ზარალი ჯიბიდან გადაიხადეს? რად უნდათ ბანკი, რომელიც არ ცდილობს ეს ზარალი თავის ოპერაციებით დახუროს. ბანკს მაგ. მარგანეცის მოგება აქვს, აქვს აგრეთვე სათადარიგო თანხა, სულ 52,000 მანეთზე მეტი, ეს ფული გამგეობას არ უნდა გამორიცხოს წევრებზე გაწერილ ფულიდან, გამგეობას არა სურს ამნაირად გაუადვილოს წევრებს ზარალის გადახდა... სამაგიეროდ სახლის გაყიდვას ურჩევს წევრებს გამგეობა!..

ნამდვილი ქართველური საქმიანობა თუ გინდათ, ეს არის! თავნი შეჭამე, მამული გაყიდე, შემოსავალ-გასავალს ერთმანეთში ნუ გაასწორებ... გამგეობის მოხსენება, რომელსაც ბ. ანდრია ერისთავის ხელი ეტყობა, ამნაირ საქმიანობის საუკეთესო ნიმუშია... მას ვალის არ ეშინია ისე, როგორც არ ეშინია ვალის ნამდვილ ქართველ თავადიშვილს, იგი არ ცდილობს მოსპოს თავის ანგარიშში ზარალი, რომელიც ყველას აფრთხობს და ფულის პატრონს ბანკისადმი ნდობას უკარგავს. როგორც ქართველ მოქეიფე თავადიშვილს ვალის არა რცხვენია და ჰგონია, რომ ნდობის მოსაპოვებლად საკმარისია ოქროთი მოჭედილი ხმალი და ხანჯალი, ისე ბანკის გამგეობასაც ჰგონია, რომ საკმარისაა ანგარიშებში სხვა და სხვა სათადარიგო თავნების აღნიშვნა იმისთვის, რომ ფულის პატრონმა იმავე ანგარიშებში ნაჩვენებ 188,000 მანეთ ზარალს ყურადღება აღარ მიაქციოს...

ჩვენ სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, ვითომც ბანკი თავის თავად საზარალო იყოს, ვითომც ფულის პატრონისათვის სახიფათო იყოს ამ ბანკში ფულის შეტანა—არა! პირიქით, თამამად ვურჩევთ ყველას სწორედ საურთიერთო ბანკში შეიტანონ ფული, რადგანაც ეს ბანკი ადგილობრივი დაწესებულებაა და მისი მოგება აქვე ადგილობრივ რჩება... მაგრამ ეს მოგება ხომ უნდა დარჩეს და საზოგადოებამ ყოველივე ზომა ხომ უნდა მიიღოს იმისთვის, რომ ბანკის გამგეობამ რიგიანად აწარმოვოს ბანკის ანგარიშები!..

გამგეობა აცხადებს, წევრებმა და გარეშე პირებმაც ხელი უნდა შეუწყონ ბანკს და ფული აქ უნდა შემოიტანონო .. გამგეობას ავიწყდება, რომ ნდობა მოიპოვება არა მარტო დაწერილ ანგარიშებით, არამედ ბანკის სათავეში მყოფ პირთა პიროვნებითაც: იქ სადაც ბანკის გამგეობა საზოგადო კრებაზე ბანკის ნამდვილ მდგომარეობის დამალვას ცდილობს, ნდობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. იქ, სადაც ბანკს თავს დასტრიალებენ ქუთაისის საზოგადოების ყორნები,—რა ნდობა უნდა იყოს? რა ნდობა უნდა გამოუცხადოს საზოგადოებამ იმ დაწესებულებას, რომელიც ჭილაძეების, ჭეიშვილების, ალიბეგოვების, ჩიკვაიძეების და სხვათა ამისთანათა პირად კანცელარიად და საკუთარ ჯიბედ არის გამხდარი?

ბ. ანდრია ერისთავი გამგეობის მოხსენებას გაზ. „ზაკავკაზიეში“ რომ ბეჭდავდა, ნუ თუ ეგონა, რომ ამ მოხსენებით რასმე დაამტკიცებდა. ეს მოხსენება მას საქმიან და საქმის მცოდნე კაცის მოხსენებად თუ მიიჩნია? ამ მოხსენების დაბეჭდვას ბანკისთვის რამე სარგებლობის მოტანა თუ შეუძლია?

პირიქით,—საქმის მცოდნე ყოველ კაცის თვალში ეს მოხსენება ან გულუბრყვილო და გამოუცდელ ყმაწვილის შედგენილია, ისეთ ყმაწვილის, რომელმაც ბანკის არაფერი არ იცის, ან მცოდნე კაცისაგან განზრახ შემუშავებულია საქმის ნამდვილ მდგომარეობის დასამალავად...

სხვა და სხვა ბანკების გამგეები და ფულის პატრონები ადვილად გაიგებენ ამ მოხსენებაში იმას, რასაც შიდ ვერ ამოიკითხავს და რაც შიდ ვერ ამოიკითხა საზოგადო კრებამ...

ოთხი წელიწადია ბანკი ახლანდელ გამ ეების ხელში. ოთხი წელიწადი საკმარისი ვადაა იმისთვის, რომ საქმეები გამობრუნებულიყო და ბანკს უზარალოდ ემოქმედნა... ოთხი წელიწადი გავიდა და ბანკს ახლაც ყოველწლიური ზარალი ატყდება თავზედ. ამ ზარალის მიზეზი უნდა გამონახოს ყოველმა ბანკის გულშემატკივარმა. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ უარყოფილ უნდა იყოს ის პოლიტიკა, რომელსაც ადგია ბანკის გამგეობა ამ ოთხი წლის განმავლობაში: ეს პოლიტიკაა,—ახალ ზარალის დამალვა, ძველი ზარალის გაზვიადება, ამ ძველ ზარალში შემოსულ ფულით ახალ ზარალის გადახდა,—ძველ ზარალში წევრებისაგან ფულის უკლებლად მოთხოვნა.

ეს მუდმივი ზარალის მოთხოვნა აფრთხობდა და ახლაც აფრთხობს ყველას... ეს ზარალის გაზვიადება სახელს უტეხავს ბანკს, როგორც დაწესებულებას, ეს ახალი ზარალის დამალვა შეუძლებლად ხდის მის მოსასპობად რამე შესაფერ ზომების მიღებას...

მეტი გულახდილობა! საკუთარ შეცდომების გაბედული გამომჟღავნება!.. აი ეს არის საჭირო და არა იმ მოხსენების გაზეთში დაბეჭდვა, რომელსაც ბანკისათვის არაფერ სიკეთის მოტანა არ შეუძლია!

ბანკი ნდობით არსებობს, ამ ბანკს საურთიერთო ნდობის საზოგადოება ჰქვია,—ნდობა კი სიმართლის თქმით მოიპოვება,—პატიოსან ვაჭარს ხელი რომ შეეშალოს ვაჭრობაში მას მაინც ენდობიან და საქმის გამობრუნებას უადვილებენ,—პატიოსნების სახელი სიმართლის დამალვით და სხვისი დაჩაგვრის სურვილით არ მოიპოვება.

ქუთაისის საურთიერთო ბანკის გამგეობას ვურჩევთ სახელის აღდგენას სხვა საშუალებით, და არა სხვა და სხვა „მოხერხებულად“ შედგენილ მოხსენების დაბეჭდვით... ეს მოხსენება მცოდნე პირთ სასაცილოთაც არ ყოფნით!

**კ. თუმანიშვილი**

## ზესტაფონის საურთიერთო ბანკი.

—

ზესტაფონის საურთიერთო ბანკი თავის საწევრო ფულის გაორკეცებას აპირებს, გამგეობა ფიქრობს, რომ ამით ბანკს სატრიალებელი ფული მოემატება და ამნაირად მოგებაც მეტიც ექნება.

დღეს ბანკის საწევრო ფული 16 ათასი მანეთი. სახელდახელო ანგარიშზე და ვადით შემოტანილი 24 ათასი მანეთი, ხაზინიდან ნასესხები 5000 მან. და სხვა და სხვა ბანკებიდან ნასესხები კიდევ 12 ათას მანეთამდის. სულ 57000 მანეთი. გაცემული აქვს მარტო თამასუქებში 54000 მანეთი. ამნაირად ბანკებმა კრედიტი თუ შეუმცირეს ზესტაფონის ბანკს, ამ უკანასკნელს მეტად გაუჭირდება ვალის გასტუმრება, რადგანაც საამისოდ უნდა უცადოს იმ დროს, როდესაც თამასუქების ვადა დადგება და ამ თამასუქებში მოვაალეებს ფული ნაღდათ უნდა მოსთხოვოს.

ამ მხრივ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ხსენებულ ბანკის გამგეობა ნამეტან სითამამეს იჩენს, როდესაც 54 ათას მანეთს აძლევს თამასუქებში. ბანკს სულ მუდამ უნდა ჰქონდეს თავისუფლად კასსაში ან ბანკებში 5—7 ათასი მანეთი, მხოლოდ მაშინ იქნება იგი მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული.

ალბათ თვითონ გამგეობა გრძნობს, რომ გაცემული ნამეტანი ბევრი დაურჩა და ახლა ცდილობს ფულის შოვნას და საამისოდ წინადადებას აძლევს წევრებს—საწევრო ფული კიდევ შემოიტანეთო.

საწევრო ფულის გადიდება ზოგიერთ ბანკებში მიღებულია. ტფილისის საურთიერთო ბანკში მაგ. (დიდსაში) 20 პროცენტია საწევრო ფული, მაგრამ აქ სამაგიეროდ მთელ კრედიტს აძლევენ წევრს. მაგ. ვისმე 1000 მანეთის კრედიტი თუ აქვს 200 მანეთი საწევრო ფული უნდა შეიტანოს, მაგრამ სამაგიეროთ სესხათ მას სრულ 1000 მანეთს აძლევენ: ორკეც საწევრო ფულის გადახდა ამ ბანკში კიდევ იმიტომ არ არის მაინცა და მაინც საძნელო, რომ აქ წლის თავში წევრებს მოგება ეძლევათ და ეს მოგება საწევრო ფულზე თითქმის ათ პროცენტს უდრის. ამნაირად საწევრო ფული უსარგებლოდ არ გდია ბანკში.

სულ სხვაა ზესტაფონისთა ბანკში. აქ საწევრო ფულზე მოგებას ბანკი ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მისცემს წევრებს. მეორეს მხრივ ბანკი კრედიტის მხოლოდ ნახევარს იძლევა: ამნაირად ზესტაფონის ბანკში საწევრო ფული თუ გაორკეცდა, ის წევრი, რომელსაც 1000 მან. კრედიტი ექმნება, ვალდებული იქნება შეიტანოს ბანკში 200 მანეთი და მას უფლება ექნება გამოიტანოს სესხად 500 მან. ამნაირად მას ნამდვილად გამოტანილი ექნება მხოლოდ 300 მან. სარგებელი უნდა გადაიხადოს 12 პროც. ესე იგი წლიურად 60 მან., რაიც 300 მანეთზე 20 პროც. უდრის...

გამგეობა უნდა ცდილობდეს წევრებს გაუადვილოს ფულის სესხება, იაფად უშოვნოს ფული, თორემ 20 პროც. ფული ბანკს გარეთ მოვახშეებშიც კი იშოვება.

იტყვიან, როგორ მოხერხდება ფულის გაიაფება, თუ შემოსავალმა არ მოიმატა, თუ არ მოიმატა გადატრიალებულ ფულის რაოდენობამ? მართალია, მაგრამ არის კიდევ სხვა საშუალება, რომელიც შესაძლოდ ხდის ფულის გაიაფებას ახლავე... ეს საშუალება ხარჯის შემცირებაა!..

დიდი შეცდომაა, როდესაც ჩვენში ახალ საქმეს იწყებენ და იმ თავითვე ხარჯებზე ლაპარაკობენ. ჩვენი ცხოვრების პირობები ისეთია, რომ პირველად თითქმის ყოველივე ხარჯებს უნდა მოერიდოს საქმის დამწყები, შემდეგ, საქმე რომ გამაგრდება, ხარჯების მომატებაც შეიძლება.

ზესტაფონისთანა ბანკში 1500—2000 მანეთზე მეტი ხარჯი არ უნდა იყოს. აქ საქმე იმდენი არ არის, რომ განსაკუთრებული კაცები არჩინოს ბანკმა, ეს საქმე იმდენად რთული არ არის, რომ მას განსაკუთრებული კაცების მიჩენა სჭირდეს: სახლის ქირა, მოსამსახურე პირები, მსახურები, თვით გამგეობა სულ მცირედი, თუ შეიძლება მუქთიც უნდა იყოს, ამ მუქთობას არ უნდა შეუშინდეს საზოგადოება, სურვილი იყოს, თორემ ყოველივე ამის შესრულება მუქთად და შესაფერ კაცების შოვნა საზოგადოებას არ გაუჭირდება, საჭიროა კი, რომ საქმის ვითარება ყველამ კარგად იცოდეს და რომ ყველა საქმეს დაახლოვებით გაეცნოს.

ჩვენის შეხედულობით ზესტაფონის ბანკს სწორედ ეს სჭირია, სწორედ ამნაირად იქცეოდა პირველში ხონის ბანკიც და სწორედ ამითი მან პირველად ყველასი ნდობა დაიმსახურა.

საწევრო ფულის მომატება, წევრებისათვის ფულის ამნაირად გაძვირება და შემოსავლის მომატება ხარჯების მოსამატებლად, ეს ვერაფერი ბანკის სამსახურია.

ჩვენც იმედი გვაქვს, რომ ამ შემცდარ გზას ზესტაფონის საზოგადოება არ დაადგება.

**კ. თუმანიშვილი.**

## ქ უ თ ა ი ს ი

### დეზორგანიზატორები

(ბზვანელის წერილის გამო „ივერია“ № 25)

(ვუძღვნი ქუთაისის მასწავლებლებს).

მკითხველ საზოგადოებას და ნამეტურ ამ საზოგადოების ერთ ნაწილს—მასწავლებლებს, კარგათ ეხსომებათ ალბათ, რომ მდგომარე წლის გაზეთ „დროების“ მე-26 №-ში ქალ. ქუთაისიდან მოთავსებული იყო წერილი რედაქციის მიმართ შემდეგი სათაურით: „ციხის შიგნიდგან გამტეხი ვინ არის?“. წერილის ავტორი, ვლ. ნაცვლიშვილი, დიდის სიმართლის მოყვარული კაცის კილოთი, სასამართლოს სახელით ამჟღავნებდა გაზეთის ფურცლებზე სასამართლოს დადგენილებას, რომლის შინაარსის სიმართლეში თვითონაც არ იყო დარწმუნებული და ... ყავდი რა დამნაშავეთ, ბოდიშს მახდევინებდა ჩემი ბრალმდებლის, აბზიანიძის წინაშე. ვსთვლიდი რა ყალბად ნაცვლიშვილის მიერ აღნიშნულ გაზეთში მოთავსებულ წერილს,—მე გაუგზავნე იმავე გაზეთის რედაქციას ვრცელი დასაბუთებული საპასუხო წერილი, მაგრამ სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო, რედაქციამ ვერა სცნო საჭიროდ მისი გაზეთში მოთავსება, რის შემდეგ მე მოკლე წერილებით რედაქციის მიმართ (იხილე №№ 43 და 72; „ახალი დროება“ № 4) აუცილებელ საჭიროდა ვსთვლიდი სამედიატორო სასამართლოს დანიშვნას ჩემსა და აბზიანიძეს შორის ამტყდარ უსიამოვნების გამოსაკვლევად, მაგრამ აბზიანიძემ კერძო წერილებით, თუ მოციქულების პირით სასამართლოში გამოსვლაზე უარი განაცხადა... ნაცვლიშვილის წერილი ყალბად აღიარა მისმა მოსამართლე ამხანაგებმა: ლორთქიფანიძემ, ჩადუნელმა და კაკაბაძემ და იწვევდენ რა სასამართლოში წერილის ავტორს („დროება“ № 40), დასძენდნენ, რომ ნაცვლიშვილს არ ჰქონდა უფლება არც ზნეობრივი და არც იურიდიული, ვინაიდგან საქმე არ გამოგვიკვლევიაო, ასეთი წერილის გაზეთში მოთავსებისაო... წერილის სიყალბე აღიარა აგრეთვე მასწავლებელთა ძველი კორპორაციის წევრთა უმეტესმა ნაწილმა (იხ. „დროება“ № 44) პრესსის საშუალებით აღნიშნული გაზეთის ნომერში წერილზე ხელის მომწერთა რიცხვში ერია ერთი მოსამართლე წევრთაგანიც ბ-ნი ლორთქიფანიძე.

28 აპრილს და 5 მაისს შედგა სამედიატორო სასამართლო შემდეგი შედგენილობით:

თავმჯდომარე: დავ. ს. კლდიაშვილი, წევრნი: დავ. ნ. ავალიანი და ნეს. ჩიქოვანი. სამედიატორო სასამართლომ გაწიხილა მოსამართლე ამხანაგთა შორის ამტყდარი უსიამოვნება. სამნი: ლორთქიფანიძე, ჩადუნელი და კაკაბაძე იცავდენ თავის წერილს და ამტკიცებდენ, რომ ნაცვლიშვილს არ ჰქონდა ზნეობრივი უფლება და არც იურიდიული დადგენილების გაზეთში გამომჟღავნებისა, ვინაიდგან ამ დადგენილების ჰქონდა შინაურული, შემარიგებელი ხასიათი საქმის სრულიად მოსასპობად და თან აღიარებდენ თავის გულუბრყვილობას და შეცდომას წინ დაუხედავათ მოქმედებაში. თვით წერილის ავტორმა ნაცვლიშვილმა აღიარა, რომ დადგენილების გამოტანა მოგვივიდა აჩქარებით, საქმის გამოუკვლევლად, რაც უდრის შეცდომითი მოქმედების აღიარებას.

მიიღო რა მხედველობაში ყოფილი სასამართლოს წევრების ერთხმად განცხადება აჩქარებით და საქმის გამოუკვლევლად განაჩენის გამოტანისა და, მაშასადამ უსაბუთოდ ადამიანისთვის ბრალის დადებისა—სამედიატორო სასამართლომ გააბათილა ყოფილ სასამართლოს უსაფუძვლო დადგენილება და შეუძლებლად აღიარა მისი საბუთად გამოყენება—ხმარება (ე. ი. „დროების“ მე-26 №-ში მოთავსებული წერილისა) და თან დასძინა, რომ ნაცვლიშვილს არ ჰქონდა უფლება წერილის გაზეთში დაბეჭვდისა. (იხილე „დროება“ № 102). სამედიატორო სასამართლოს დადგენილებით ნაცვლიშვილს არ ჰქონდა იურიდიული უფლება გაზეთში წერილის დაბეჭვდისა და თუ მხედველობაში მივიღებთ თვით ნაცვლიშვილის განცხადებას იმავე სამ. სასამართლოს წინაშე, რომ საქმე არ გამოგვიკვლევია და აჩქარებით მოგვივიდა დადგენილების გამოტანაო, თვით სასამართლოს დადგენილებიდგან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ ნაცვლიშვილს არც ზნეობრივი უფლება ჰქონია წერილის დაბეჭდვისა, ვინაიდგან, რაც გამოუკვლეველია, დაუსაბუთებელი, ის სიმართლეს მოკლებულია და არც სიმართლეს მოკლებულია, იგი სიცრუეა და მაშასადამე ყალბია.

ამნაირად დღიდან სამედიატორო სასამართლოს მიერ „დროების“ 26 №-ში მოთავსებულ წერილის გაბათილებისა, რომელსაც საბუთად ხმარობდა ჩემი მოწინაამდეგე ბრალმდებელი აბზიანიძე, და სასამართლოში გამოსვლაზე უარს აცხადებდა, თუმცა სხვა და სხვა რედაქციებით და იკლიკანტური ფორმებით,—ყველა მის მიერ წამოყენებული ბრალდებები ჩემს წინააღმდეგ დაუმტკიცებელ ბრალდებებად ითვლება იურიდიულად, ზნეობრივად ხომ დაუმტკიცებელი იყო

აქამდისინაც და ჩემის მხრივ და შეხედულებით ყოველ სიმართლეს მოკლებულიც. აი სწორედ ამიტომაც ვთხოულობდი მე სასამართლოს დანიშვნას პრესსის საშუალებით (იხილე „დროება“ №№ 43, 72. „ახალი დროება“ № 4.) თუ ჩემს მოწინააღმდეგეს უტყუარი საბუთები ჰქონდა ხელში, რას გაურბოდა სასამართლოს? საბუთებს ხომ ერთნაირი მნიშვნელობა და ძალა ექნებოდა ყველა ინსტანციაში და ნამეტურ სინდისის სასამართლოში?!. მაგრამ არა, მან ისარგებლა სხვების შთაგონებით შინაურული გულუბრყვილო ამხანაგების მოპურჭყვილი დადგენილებით და რომ თავისი პრესტიჟი აღედგინა ქალაქის თვითმართველობის თვალში, დიდის ჯახირითა და პროტექციით წერილი დააწერია გაზეთში მის ვექილს და შემდეგ ეს წერილი აბლაკატური მოხერხებით ქალაქის გამგეობას ჩაუგდო ხელში: „აი საბუთი ჩემი ზნეობის სიფაქიზის დამამტკიცებელიო, მე ღირსი ვიყავი ამაღლებისა და პატივისცემისაო და სხვა.....“ ნაცვლათ იმისა, რომ დღიდან „დროების“ 26 ნომერში მოთავსებული წერილის გაბათილებისა, პასუხი გაეცა ჩემს წერილებზე ბატ. აბზიანიძეს და სასამართლოში გამოსვლაზე თანხმობა განეცხადებია, ეს ვაჟბატონი კვლავ გამოჯგიმულა თავისი ვექილით „შინაური საქმეების“ მეცხრამეტე ნომერში და უსამართლობას სწამებს კომპეტენტურ სამედიატორო სასამართლოს და მის დადგენილებას კრიტიკას უშვრება. ეს ცხადაძისათვის არ უკითხავთო, ეს ლორთქიფანიძემ და ნაცვლიშვილმა გამომძიებელ კომისიის წევრთან ასე აჩვენესო და სხვა... ლორთქიფანიძის ჩვენებას კომისიის წევრთან ასე აჩვენესო და სხვა... ლორთქიფანიძის ჩვენებას კომისიის წევრთან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მას შემდეგ, რაც მან სხვა ამხანაგებთან ერთად ხელი მოაწერა „დროებას“ მეორმოცე და მეორმოცდაათხე ნომრებში მოთავსებულ წერილებზე, სადაც თვალსაჩინოთ გამოთქმულია მისი შეხედულება სასამართლოს დადგენილებაზე, ვლადიმერ ნაცვლიშვილმა რაც აჩვენა, ეს გამოაცხადა თვით სამედიატორო სასამართლომ, ცხადაძის ჩვენება კი კომისიის წევრთან ისეთივეა, რაც დანარჩენებისა სამედიატორო სასამართლოს წინაშე. მერე ვის უფრო უნდა დაუჯეროს მკითხველმა საზოგადოებამ,—აბზიანიძეს, თუ სამედიატორო სასამართლოს, რომელმაც გამოაცხადა: „თანახმად ყოფილ სასამართლოს ერთხმად განცხადებისა, დადგენილება მოგვივიდა აჩქარებით და გამოუკვლევლადო და სხვა...“...“ მე მგონია, სასამართლოს პატივცემული ბელეტრისტის დ. კლდიაშვილის თავმჯდომარეობით, ვიდრე აბზიანიძეს...

აბზიანიძე სწერს: „ბურჯანაძემ არ გაგვიშვა ჩემ დასახელებულ მოწმეებთანო,—დადგენილება დაამყარეს მესხის ჩვენებაზეო და სხვა“... მაშინ თუ არ გაგიშვით მოწმეებთან, დღეს ხომ გაგიშვებდით, მაშინ თუ თქვენ სასარგებლოთ აჩვენებდნენ, დღეს რაღა შეუშლიდათ ხელს? საბუთები თქვენთვის არავის ჩამოურთმევია, თქვენი უმთავრესი მოწმე, ბ. მესხი თავისი გალამაზებული ხელით ტყვედ არავის წაუყვანია, დანარჩენი მოწმეებიც ცოცხალია. მაშ რა გაბრკოლებდათ, რომ უარს აცხადებდით და აცხადებთ სასამართლოში გამოსვლაზე? აბზიანიძეს დიდი იმედი ჰქონია კომისიის წევრის გამოძიებისა, როგორც ეტყობა, „კომისიას დინჯი და სერიოზული გამოკვლევა აქვს ამ საქმის შესახებო“ სწერს იგი. რა უნდა ამით ბ. აბზიანიძეს? მას უნდა რამე ნაირად აღადგინოს გაუქმებული საბუთი, მისი უფლება ჩხირკედელაობით, ჩემთან სასამართლოს კი გაურბის. ის საბუთი, ბ. აბზიანიძე, გაბათილებულია, გაუქმებულია, მითი სარგებლობა არავის შეუძლია და სასტიკ პასუხისგებაში იქნება მიცემული ყველა ის კერძო პირი, თუ რედაქცია, რომელიც მითი ისარგებლებს ჩემს წინააღმდეგ. იგი გაფრენილია თქვენი ხელიდან... კომისის იმედი ტყუილა გაქვთ. კომისიის გამოძიება დამყარებული იყო „დროების“ მე 26 №-ში მოთავსებულ წერილზე და დღიდან აღნიშნული წერილის გაუქმებისა, გაბათილებისა, კომისიას ნიადაგი გამოეცალა ხელიდან, შერჩა მხოლოდ მესხის მიერ შეთხზული ჭორები და ამ ჭორებზე აგებული ჩვენება... ტყუილათ ფიქრობთ, ბატონო, რომ კომისიის გამოძიება გათავდებოდა თქვენ სასარგებლოდ და ჩემ საზარალოთ. ვნახოთ რა დასკვნები შეუძლია გამოიყვანოს კომისიამ ჩემ შესახებ!

1) არჩევნები, რომელსაც თქვენ ერთის წლის შემდეგ ჩხირ-კედელაობა დაუწყეთ (თქვენდა დასამცირებლად), მოხდა კანონიერად, ფარული კენჭის ყრით.

2) არავითარი აგიტაცია ჩემს სასარგებლოდ და ჩემი მოწინააღმდეგეს დასამტკიცებლად კორპორაციაში არ გამოწვევია.

3) კორპორაციას სრულიადაც არ ჰყოლია სახეში ბ-ნი აბზიანიძე, რასაც ნათლად ამტკიცებს გაზ. „დროების“ მე 44 ნომერში მოთავსებული წერილი, რომელსადაც ხელი უწერია ყველა ჩემ ამრჩეველ მასწავლებლებს გარდა ოთხისა, რომლებიც ბრალმდებელთა რიცხვში ურევიან.

4) საშკოლო კომისიამ ერთხმად მიიღო ჩემი კანდიდატურა. აბზიანიძის კანდიდატურა არც მას, კომისიას, ჰქონია სახეში.

5) არც ერთი ინსტანციისთვის არ მითხოვია დაეცვათ ჩემი კანდიდატურა.

6) ის კომისიის წევრი, რომელთანაც მე საგნისთვის თავის სახელი მიწოდებია, სრულიადაც არ დასწრებია კომისიის იმ სხდომას, რომელზედაც გად წყდა საკითხი ჩემი არჩევისა, რაც სრულიად აქარწყლებს ჩემთვის მოწერილს მიზანს.

7) არავითარი დამამტკიცებელი საბუთი იმ ბრალდებისა, ვითომც მე რამე ყალბი წერილი დამეწეროს, არ წარუდგენიათ ჩემს მოწინააღმდეგეებს კომისიაში, გარდა მესხის ჭორებისა.

თუ რომელიმე ზემო მოყვანილი მუხლი სიმართლეს მოკლებულია, გამოაცხადოს კომისიამ პრესის საშუალებით ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა, რის შემდეგ ყველა აღნიშნული დასკვნები ძალაში შედის და საბუთებად ხდება. მე ვამბობ პრესის საშუალებით, ვინაიდან დღიდან ჩემი სამსახურიდან დათხოვნისა დირექციის მიერ და ძალა უნებურად იერარქიული კავშირის შეწყვეტისა კომისიასთან, მე საქმე მაქვს საზოგადოებასთან და არა ამ საზოგადოების ერთ ნაწილთან—თვით მართველობის ორგანოსთან. ჩემი მოწინააღმდეგეების შესახებ კი რაც გამოარკვია კომისიამ, უნდა აუცილებლად მოახსენოს საბჭოს, ვინაიდგან ისინი დღესაც ატარებენ მასწავლებლების სახელს ქალაქის შკოლებში და ვინ უნდა აქცევდეს ყურადღებას ქალაქის სასწავლებელთა ზნეობრივ და გონებრივ მხარეებს, თუ არა ქალაქის თვითმართველობა! ვნახოთ რა საპრიანო რამ გამოარკვია და, თუ არ გამოურკვევია, უნდა გამოერკვია კომისიას შესახებ ჩემი მოწინააღმდეგებისა?

1. მართალია თუ არა, რომ ნ. მესხი 1907 წლის იანვრის შუა რიცხვებში გაასამართლა მთელმა მასწავლებელთა კორპორაციამ თვითმართველობის პრინციპის ღალატისათვის, სხვა და სხვა არა სიმპატიური მოქმედებისათვის? მართალია.

2. მართალია, თუ არა რომ ოქმი გასამართლებისა დასწერა ბ. აბზიანიძემ?

3. მართალია, თუ არა, რომ ოქმზე ხელი მოაწერა ყველა მასწავლებლებმა, მათ რიცხვში მღვდლებმაც კი? მართალია.

4. გადაყლაპა თუ არა კოვენის პილიულებივით ბ. მესხმა ყველა ბრალდება? გადაყლაპა.

5. დაიჭირა თუ არა ძველმა ს. კომისიამ ბ. მესხი შეშის ქურდობაში? დაიჭირა. (ბავშვებს უნდა ასწავლოს მე-8 მცნება!...)

6. საზიზღარი საქციელია თუ არა ადამიანისათვის და მით უმეტეს მასწავლებლისათვის სხვისი ჯიბეების და კორესპონდენციების ჩხრეკა.

7. შეიძლება ასეთი ზნეობის ადამიანმი ატაროს აღმზრდელის სახელი და შკოლის სათავეში იდგეს? არ შეიძლება.

**აბზიანიძის შესახებ რაღა გამოირკვა?**

1. ნ. დ. აბზიანიძე (უწყინარიძე) ქალაქის გამგეობას სამსახურიდგან დაუთხოვია რამდენიმე წლის წინათ.

რა ბრალი ედებოდა მას? უსახელო „დონოსის“ დაწერა კოლეგაზე“.

2. როგორ მოქცეულა აბზიანიძე?

ნაცვლათ ბრალდების დარღვევისა მიუმართავს მას დირექციისთვის და ამ უკანასკნელს გაშანშალებული „პრედპისანიით“ შეჭრილა ქალაქის თვითმართველობის შკოლაში. მას შემდეგ იგი ასრულებს დაუპატიჟებელი სტუმრის როლს.

3. უნდა მოირეცხოს თუ არა აბზიანიძემ ეს სამარცხვინო ჩირქი?

4. შეუძლია ჩირქ მოცხებულ ადამიანს სინდისის სასამართლოზე ლაპარაკი, კრინტის დაძვრა? არ შეუძლია.

5. შეიძლება რომ თვითმართველობის პრინციპის გამთელელმა ატაროს სახელი თვითმართველობის შკოლის მასწავლებლისა და იმავე დროს ბედავდეს კორპორაციაზე ლაპარაკს, გამოდიოდეს კორპორაციის მესვეურად?

თუ რომელიმე მუხლი ზემო ჩამოთვლილ ბრალდებიდგან სიმართლეს მოკლებულია, — გააბათილოს თვით იმ კომისიამ, რომლის მაგიერად დასკვნებს აკეთებს ბ. ბზვანელი თავის „სამარცხვინო ოინებში“. მე არავის ვექილობა არ მჭირდება, ბ. ბზვანელო. არც არავითარი საქმე მაქვს მან-ბანებთან, რომელთა მიერ წამოყენებული ბრალდება თქვენ არც ერთი არ დაგირღვევიათ, თქვენ კი კისრულობთ ისეთი „კლიენტების“ დაცვას, ვექილობას, რომელთა საქმენი-საგმირონი ზევით არის აწერილი. რა მოგახსენოთ თქვენ, ბ. ბზვანელის ქურქში გახვეულო, ვის მფარველ-ანგელოზად გამოდიხართ დღეს, ვინ დაარღვია მასწავლებელთა წრე, გატეხა ციხე, ამას შემდეგი წერილი გვიჩვენებს, რაღათ არ ისვენებთ; ჩემს შესახებ კი ის გამოირკვა და გამოირკვევა, რომ მე გარს მერტყა წრე, რომელშიაც სწორეთ იმ ზავაცკის, რომელსაც თქვენ საზოგადოების თვალის ასახვევად სასტ. ბიუროკრატს ეძახით, სულიერი მოკავშირენი სხვა და სხვა ხრიკებით მოჰყვნენ და კიდევაც ნათლად აღასრულეს თავიანთი მოვალეობა ციხის საიდუმლოების გაგებაში სხვისი ჯიბეების ჩხრეკით

**ვარლ. ბურჯანაძე.**

(შემდეგი იქნება)

## ხმა გურჯაანიდან

(კახეთი, სიღნაღის მაზრა)

ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი!
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება.

**ილია**

ოჰ, გურჯაანის გლეხობას სძინავს და ამ ძილში ისე საშინლად ოხრავს და გმინავს უსამართლოებისაგან დაჭრილი, რომ მე, უცხოეთში მყოფ მათ მოძმეს, გულს და სულს მიშფოთებს. ვინ გინდა, დიდი და პატარა, მოხელე და ვაჭარი, თავადი და მღვდელი, რომ გურჯაანის გლეხობას ზედ არ აფურთხებდეს, არ სჩაგრავდეს და არ ყვლეფავდეს?! და ისიც ლაბა ხარივით იდრეკს ქედს, იდგავს უღელს, რომ ამ უღელზედ ხან მოხელე შეჯდეს, ხან ვაჭარი, თავადი, ან მღვდელი. ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებული და მშრომელ ხალხით დასახლებული გურჯაანი დღეს რაღაც მანქანებით სრულიად გაღატაკებულია. მთელი გლეხობა სევდა და ვარამს ჩაჰფიქრებია და ამ ფიქრისგან, რომელიც ჭიასავით გულს და ტვინს უღრღნის, მკვდრის ფერი დასდებია; გუშინდელი ვაჟკაცი დღეს ლაჩრად ქცეულა. მთელი სოფელი კვნესა-ტირილის ბუდეთ გადაქცეულა, ყველა სასოწარკვეთილებას მისცემია, არც ერთი გლეხი უზრუნველყოფილი არ არის, რომ მას ხვალ ან არ მოჰკლავს ვინმე და ან არ დაახრჩობს.

მიდით, დაიარეთ მთელი სოფელი რომ ზემო აწერილი საზარელი სურათი გაორკეცდეს. კალამს არ შეუძლიან გადმოსცეს მთელი წუხილი გურჯაანის გლეხობისა...

* * *

ბუნებას ისე რიგად არ ემდურის გურჯაანელი გლეხი: ორჯელ სეტყვა იყო მხოლოდ და გურჯაანის ჩრდილოეთის მხარე—კოტეხი დააზარალა, თუმცა ისიც ძალიან არა. ქერები უკვე დაიმკო, პურიც გაიკრა. სიმინდის მოსავალი შარშანდელს ვერ შეედრება, მაინც არც მდარეა. ვენახებზედაც ის ითქმის, რაც სიმინდებზე, შარშანდელზედ ნაკლებია; თხლათ ასხია და მარცვალიც ისე რიგათ არ მსხვილდება. წვიმები ხელს უწყობენ გამობრუნებას, თუმცა თუ დაიჟინა მილდიუს ავადმყოფობამ (ნაცარს) გაუჩენს ვაზს.

შარშანდელი ღვინო ჯერ კიდევ ბევრია გასასყიდი. საკვირველია, თუმცა მოსავალს ნაკლებს მოელიან, მაინც ღვინოების ფასი საშინლად დაცემულია. მაგ. თავი ღვინო ჩაფი (1 ნახევარი ვედრა) 1 მ. — 1 მ. 20 კ. ფასობს და, რომ ჩაფი 1 მ. 40 კაპ. ვინმე გაყიდის, სწორედ ძნელია. სხვა და სხვა ავათმყოფობანი წელს ნაკლებად არის გავრცელებული, თუმცა საკუთარი ექიმის საჭიროება ისევ თავის ძალაშია. სხვა და სხვა მკითხავებმა ყველას თავი მოაძულეს, მათი ალაგმვა ძლიერ გაძნელდა. მკითხავმა მართა მურაკაშვილისამ ხომ ეს 7—8 წელიწადია თავის უფლებას გადააჭარბა და, მგონი, ექიმის შემოწმებაა საჭირო მისი ჭკუათმყოფელობის შესახებ.

* * *

უკვე ძველი ამბავია, რომ გურჯაანელებს 1907 წლის მარტიდან 1908 წლის ენკენისთვემდის 10 სტრაჟნიკი და მთავრობის მამასახლისი დაუყენეს, რომელთა შესანახადაც თვიურად 350 მან. იხდიდნენ, რაიცა სულ 7,000 მან. შეადგენს.

ამას გარდა 1908 წლის თიბათვეში კნ. ანასტ. ანდრონიკაშვილის სახლის გაქურდვის გამო „ეკზეკუციად“ ჩაუყენეს სოფელს 70 კაცი, რომელთა შენახვაც, სხვა და სხვა აწიოკების გარდა, სოფელს 1385 მან. დაუჯდა. ეს სულ შეადგენს 8385 მან. რაც თითო კომლზე 20 მანეთამდის მოდის.

გლეხის შემოსავალი ამ უკანასკნელ ორ წელიწადს წლიურად 30 მან. არ ასცილებია და ამავე დროს კი ამდენი ხარჯი ჰქონდა:

| | |
|---|---|
| 1) ეკზეკუციისა და სტრაჟნიკების ხარჯი . . . . . | 20 მ. |
| 2) სახელმწიფო ხარჯი . . . | 5 მ. |
| 3) მღვდლისა, . . . . | 3 მ. |
| 4) მოხელეებისა . . . | 2 მ. |
| სულ . | 30 მ. |

აქ საშუალო გლეხია აღებული; მაშასადამე გლეხის შემოსავალი სხვა და სხვა ხარჯებს უნდება და თვით გლეხიც ამიტომ არის ნახევრად მშიერი, მასთან ჩაფიქრებული და ნაღვლიანი. აქ ნაანგარიშები არ არის სხვა და სხვა შემთხვევითი ხარჯები, რომელიც შემთხვევით შემოსავალზედ ყოველთვის მეტია.

როგორც ვხედავთ, გლეხი ქონებრივად მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია და ამას ზედ ერთვის კიდევ ბევრი სხვა.

* * *

სოფლის მამასახლისი ბ. ნიკა ჭილოლაშვილი და სოფლის მწერალი ლადო შინჯიაშვილი ძლიერ თავ-გასულად მოქმედებენ. მამასახლის მოქმედება ყველასათვის ცხადია. ის რომ უვარგისი მამასახლისია, ამაზედ ლაპარაკიც მეტია,— მთელმა სოფელმა იცის. ბ. ნიკო ჭილოლაშვილზედ თავდაპირველათ იმას ვიტყვი, რომ მე იმის პატიოსნებაში ეჭვი შემაქვს. ვის აბრალებდენ 1905 წელს ქურდობას თუ არ ნიკას? და რამდენად მართალი იყო ჭილოლაშვილი, ეს იმისივე თავლაში მოხარშულ ხბოსა ჰკითხეთ.

ლადო შინჯიაშვილის დამახასიათებელი მისივე ჯიბეა, თუ რამდენი მანეთი ჩადის შიგ გლეხის კისრიდან ამოძრობილი.

კიდევ ერთი რამ: მაისის გასულს ლადო შინჯიაშვილის ცოლის ძმამ იმერლიშვილმა (გალოს ბიჭმა) ისე ულმერთოდ სცემა ჯ—ს მოჯამაგირეს, რომ შინ ურმით მოიტანეს.

ეს რომ სხვას ექნას, ლაზათიანად დასჯიდენ, მაგრამ რაკი იმერლიშვილი შინჯიაშვილის ცოლის ძმაა — ყველამ სული განაბეს.

აი რას ნიშნავს არამც თუ მაზრის უფროსის ნათესაობა, არამედ პაწია სოფლის მწერლისაც კი.

საკვირველია, რითი სჯობია შინჯიაშვილი წინანდელ მწერლებს ბ. ბ. ოდიშელიძეს და ზუმბულიძეს, რომ ეს აირჩიეს? მგონი ბევრშიაც ჩამოუვარდება.

* * *

სოფლის მღვდლების მოქმედება ბევრჯელ იყო აღნიშნული, მხოლოდ ერთს დაუმატებ, რომ საზოგადოთ და, კერძოთ გურჯაანელი მღვდლები, იურიდიულ უფლებას მაღლა აყენებენ ზნეობრივზე და ხშირად გლეხისაგან აღებულ პურს გლეხსვე აყიდიებენ ერთი სამად მეტ ფასში.

ვაჭრების არამზადობას ბოლო არ უჩანს, მაგალითები აუარებელია, ორიოდეს მოვიყვან:

1) აქაურ მოვაჭრეებს ძმ. ილია და ვანო ბეჟიტაშვილებს თავ-გასულობა იმდენად დასჩემდათ, რომ გზაზედ გადაუდგებიან მყიდველს და ძალით ათრევენ თავის დუქნისკენ. 14 ივნისს ბ. იაგორ ჯონაძე ძალით და ხვეწნით მიაბრუნეს თავის დუქნისკენ ხორცისთვის. თურმე კამბეჩის ხორცი ჰქონდათ და ძმები ერთმანეთს კინტოურად უქებდნენ, „ვერ უყურებთ რა ოქრო ხორცს ვაძლევთო?! ჯონაძემ, როგორც შეძლებულმა კაცმა შესაფერი პასუხი გასცა ორ ოინბაზს და წავიდა უხორცოთ.

კიდევ: ადგილობრივი ფერშალი ალექ. ნოვოჩენსკი ძალის ძალობით მიიწვიეს დუქანში ღვინის დასალევად, დაათვრეს, ჯიბიდან 11 მან. და 50 კ. ამოაცალეს და შინ ისე გაისტუმრეს. მაგალითების ჩამოთვლა მათი გმირობის შესახებ შორს წაგვიყვანს.

2) მოვაჭრე იასონ იმერლიშვილმა საზღვარს გადააჭარბა: 18 ივნისს საღამოს 7 საათზედ ბაზარში გამოვიდა ადგილობრივი შეძლებული მეოჯახე 60 წლის ალექსა ცისკარაშვილი მთვრალი. იასონ იმერლიშვილს ალექსა თავის დუქანში მიუწვევია და სანაძლეოზედ ერთი ბოთლი 60 გრადუსიანი არაყი დაულევინებია. აგრე საშინლად მთვრალი ალექსა ვირზედ შეუსვამს თავის დამქაშების დახმარებით და ისე უტარებია და თან 5 მან. ჰპირდებოდა ყველა ამაში, საღამოს 8 ნახევარ საათზე ალექსა შინ მიუყვანიათ და იმ ღამეს დამხრჩვალიყო. ადგილობრივ ფერშლის შემოწმებით არაყით იყო დამხრჩვალი. მთელი ხალხი ძლიერ აღელვებულია ამის გამო იმერლიშვილის წინაამდეგ.

საჭიროა ბ. ტფილისის გუბერნატორმა შესაფერი ღონისძიება მიიღოს, რომ ეს საქმე ბ. თფილისის სამოსამართლო პროკურორს გადაეცეს.

* * *

ყველა ზემო აღნიშნული სრული არ არის, მთელი წიგნია საჭირო გურჯაანელ გლეხის ტანჯვის ასაწერად. ყველა ეს ვაჟბატონნი ჯერ კიდევ დაუსჯელად განაგრძობენ საგმირო საქმეებს. გლეხი კი პირუტყვთან არის დადარებული, მისი ღირსება დაიკარგა, ის მარტო საწველი ფურია. პატრონი არავინ არის სოფლისა, ეხლანდელი პატრონები მარტო სცარცვავენ, სოფლის მოსარჩლენი კი მუდმივ დევნაში ჰლევენ სულს, ვისაც სოფლისთვის გული შესტკივა—ის ამ ვაჟბატონთაგან დევნილია და გალანძღული.

**ვანო კარბელაშვილი**

## „წკიპურტი“

№ 4. გასართობი გაზეთი № 4

### რაჭველის წერილი

გავიგე ჰი ახალი გაზეთი გამოდისო ისე გაიხარა, ჩემო ფირუზ რედაქტორო, შენმა ცოლშვილმა და ჩემმა ბიჭუნებმა (უკაცრავად დაგიფიცავ) როგორც მე გავხარდი. ქვე რავა არ გამეხარებოდა ჰი ახალი გაზეთის გამოსვლა, გონია ამ წელიწადში ორი ოზმა ქაღალდი გავაფუჭე, ხან ერთ რედაქტორს გაუგზავნე, ხან მეორეს, ხან მესამეს წერილუკა, მარა შენც არ მომიკვდე ერთჯერაც არ დაბეჭდეს. გავიფიქრე, მოდი ქვე ჩავალ ქალაქ ტიფლისში და თქვა, იქ გავიცნობ რომელიმე რედაქტოს, ნათლიმამათ მოვიკიდებ, ეგებ მერე უფრო ხათრი მოიდვან და ჩემი წერილუკები დაბეჭდონ თქვა. ქვე რა დიდი საქმე უნდა შეკაცო წერილის დაბეჭდვას, გადაეცი ასოთამწყობს, ასოთ-ამწყობიააწყობს და დაიბეჭდება, ამის მეტი მოვალეობა ხომ არა გაქვთ რედაქტორებს, მარა ჯინიანები ხართ რედაქტორები. ჰო და მერე ქვე გამოვემზადე წამოსასვლელათ. დედამ მითხრა: ქვე რა გინდა ბიჭო თბილი ქალაქს რომ მიხვალო. მე ვუთხარი, რა საქმეზედაც ვაპირობდი წამოსვლას. დედამ გაიკვირვა და მითხრა, უი შვილო ქვე რავა გაგიშვებ ქალაქში,— შიშიანობას ამბობენო, მე ვუთხარი რას ამბობ დედი, რა დროს შიშიანობა არი თქო შიშიანობა ლეკობის დროს იყო თქო. შე კაცო ლეკობის დროს კაცები შუაგულ ქალაქიდან ერთჯერაც არ მოუტაცებიათ და ეხლა კი ყოველ კვირაში კაცებს იტაცებენო. ცოტა არ იყო შევფიქრდი. მარა ისევ გავიფიქრე, ჩემ ჯიბაში ფული არ მოიპოვება, როგორც ურიასთან ღორის ხორცი, და რას მერჩიან რომ მომიტაცონთქო, დედამ ისიც მითხრა, ბიჭო, ეგება რედაქტორი უცოლშვილოა და ნათლის მამათ რა ნაირათ მოიკიდებო. დიდი ფიქრის შემდეგ ქვე დავანებე ქალაქ წამოსვლას თავი. ახლა ჩემო ფირუზ ჰი კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. ღმერთმა მრავალ გოჭის ხუთ-

შაბათს დაგასწროს შენი ცოლშვილით, შენ შეეწევა ჰრავალ ძლის წმინდა გიორგი, ნუ დაგეზარება ამ წერილუკას დაბეჭდვა. მოდი ქი და ქვე დავიწყოთ ჩვენი სულიერი მამებიდან. თქვენც კარგათ მოგეხსენებათ ჩვენი მღვდლები ქონებრივათ და გონებრივადაც, გლეხ კაცებზე წინ დგანან, მარა ქვე რაში გამოიხატება იმათ წინ დგომა. ამ დალოცვილებს სიზმრათაც ქანქარი ელანდებოდათ. გონების საზრდოს ისე გაურბიან როგორც ურია ღორის ხორცს. როგორც გამიგონია, რაჭაში ასზე მეტი მოძღვარი უნდა იყვეს, ამათ რიცხვში ოთხი მღვდელი თუ გამოერჩევა გაზეთებს იწერდეს, რომელიც არიან იგენიც ღარიბები. მეტი წილი სიბნელის მორევში სცურავს:

ქანქარი და საკურთხი
მათთვის არი ნაკურთხი
ჟურნალი და გაზეთი
მათ არ უნდათ არც ერთი
რაღა უთხრათ ისე მღვდელს
გაზეთს რომ არ იწერდეს
დღევანდელსა საკითხებს
სათამაშოთ უცქერდეს

**რაჭველი შურდული**

## კაცი უბედური

—

ვიცი საფლავი რომ მელოდება
თავს დიდი ლოდი დამაგორდება
გაქრება ზრახვა ამა სოფლისა
აღარაფერი მომაგონდება.
რა არის კაცი, რა აქვს მიზანი?
თუნდა იცოცხლოს მან დიდი ხანი
მაინც მოკვდება მიწათ იქცევა,
თუნდა ოქროთი შემოსოთ ტანი.
მაშ თუ მოვკვდები, რისთვისღა გავჩნდი
რაღათ მაწუხებს ფიქრი და დარდი
ერთ წუთში არ ვარ მოსვენებული
საძებარი მაქვს მე ლუკმა მჭადი.
უსამართლობა როს დაემხობა
და გამტკიცდება ძმობა ერთობა,
სოციალიზმშიც რომ შემაცუროთ
მაინც ვერ ვპოვო ბედნიერება.

**რაჭველი შურდული.**

## შ ა რ ა დ ა

—

პირველათ ორი ასოა
ჯერ განი მერე ანია
რასაცა ნიშნავს შარადა
მკითხველო, შენა სცანია
და ბოლოს ერთი სიტყვაა
მარხვაში ვხმარობთ საჭმელში,—
რა გინდა მარჯვეთ მოიქცე
ვერ დააკავებ მას ხელში
სულ ყველა ერთათ მას ნიშნავს
რომ ის გონების საზრდოა:
არც პური არი, არც ხორცი
არც ყველი არი არც ღოა.
ალსნა: გაზეთი.

**რაჭველი შურდული.**

## საქუთაისო ამბები

(ქუთაისიდან)

თავ. ი. ბ. ნიჟარაძე დიდ სასყიდელს ჰპირდება იმ თაგვებს, რომელნიც მოიპარავენ და მოსპობენ მისი წერილის დედანს, რომელიც „ივერიის“ ფურცლებზე გამოამჟღავნა დ. გიგინეიშვილმა მდგომარე წლის 15 ივნისს.

— საადგილ-მამულო ბანკის დირექტორს ი. პ. ჯაიანს, რომელმაც ამას წინად რწმუნებულთა კრებაზე განაცხადა, მე ბუხჰალტერიის არაფერი გამეგება, განუზრახავს—ახლა მაინც შეუდგეს ბუხჰალტერიის შესწავლას რომ გაისისათვის უზრუნველჰყოს თავისი ხელახლად არჩევა. როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, თავ. დ. ო. ნიჟარაძეს ურჩევია მისთვის: „ჩემო ივან პეტროვიჩ! ტყუილად ნუ წვალობ! თუ 30 წლის განმავლობაში შენს ტვინს ვერ შეუთვისებია ბუხჰალტერია, ერთი წლის განმავლობაში როგორ შეითვისებს! ამიტომ გულწრფელად გირჩევ, თვითონვე დაანებო თავი დირექტორობას, რაც შენი საქმე არაა, და მხატვრობას მიჰყო ხელი, რაშიაც დიდი ნიჭი გამოიჩინე რწმუნებულთა კრებაზე.“

— ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკზე დარჩენილ თფილისის მამულების ყოფილ მოურავს ა. გ. ერისთავს, რომელმაც რწმუნებულთა კრებაზე განაცხადა, მამულებიდან შემოსულ ფულიდან რაღაც 2600 მანეთი შემომეხარჯაო, უთხოვია ბანკის გამგეობისათვის, რომ არამც თუ ეს ფული ეპატიოს მას, განსაკუთრებული ჯილდოც მიეცეს იმ ღვაწლისთვის, რომ მან თავის მოურაობის დროს მამულებს მხოლოდ ზარალი მიაცემინა ბანკისათვის და ამით ნათლად დაუმტკიცა ყველას ბანკზე დარჩენილ მამულების იჯარით გაცემის საჭიროება, რასაც შედეგად წლიურად 25,000 მანეთის მოგება მოჰყვა. ბ-ნს ი. პ. ჯაიანს საფუძვლიანად უცვნია ბ-ნის ერისთავის თხოვნა და წინადადება მიუცია ძმათა თვისთათვის, რომ ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნას.

— ბანკის თავმჯდომარედ ყოფილის ბ-ნ მელნიკოვის თხოვნით ახლანდელ თავმჯდომარეს ბ-ნს ერემეევს წინადადება შეუტანია გამგეობაში; რომ ძეგლი დაუდგან ბანკის ჯერ დამფასებლად და შემდეგ აგენტად ყოფილს აწ განსვენებულ „საზოგადო მოღვაწეს“ ნ. გუგუნაშვილს, რომლის წყალობითა და მეოხებით დიდძალი მამული (თუმცა საზარალო) შეიძინა ბანკმა ქ. თფილისში! გამგეობას მოუწონებია წინადადება და ძეგლის პროექტის შედგენა მიუნდვია მხატვრის ი. პ. ჯაიანისთვის.

**ისარა**

—

**ს. ამბროლაური** (რაჭა). აქ ხმა გავრცელდა, ფოშტალიონ ვლ. გამყრელიძეს მოკლე დროში ს.-პეტერბურგში გაჯაიყვანეს „ეკსტრენი“ ფოშტალიონათო ვინაიდან აქ ერთგულათ მსახურობსო. ასე ამ რიგათ ფოშტიდან გამოტანილ წერილს ერთი თვის განმავლობაში თუ მიიღებს მეპატრონეო.

**რაჭველი შურდული**

—

**დ. ონი** (რაჭა). როგორც ხმა დადის ონში მაგარი სასმელით მოვაჭრეებს საჩივარი აღუძრავთ ქ-ნ კ. ტატიშვილისაზე, იგენი ჩივიან თურმე: მას შემდეგ რაც ქ. კ. ტატიშვილისა ონის ახალგაზდობას თავს უყრის ონის სამკითხველოში და ჟურნალ გაზეთების კითხვას აჩვევს, მას შემდეგ ჩვენმა შემოსავალმა და ვაჭრობამ ძალზე იკლოო.

**რაჭველი შურდული**

## შური ვიძიოთ!

(სოფლის ცხოვრებიდან)

I

შუა მარხვაა. თოვლი აქა-იქ ღელეებში მოჩანს ჭრელად, ქვენა ქარი ჰქრის, ცივა.

სოფ. კორდიანთ უბანში სასოფლო კანცელარიის წინ, ის იყო, დამსჯელი რაზმი მოსულიყო თავისი აფიცრით. მაშინვე სოფელში რაზმის მოსვლა გაიგეს. საჩქაროდ კორდიანთ-უბნელები თავიანთ დარბაზებში და ბოსლებში შედიოდნენ, კარებებს ჰკეტავდნენ, იმალებოდნენ. ჩქარა ყველაფერი მიწყნარდა.

მხოლოდ თ-დ ჯიმშერ მაღალ ფერიშვილის სახლში დიდი შესვლა-გასვლა იყო; მისი სახლი ამ სოფლის კანცელარიის ცოტა მოშორებით მაღლა გორაკზედ იყო გაშენებული თავისი საბძლით და ბოსლით, ბეღლით და სათონით.

თ-დ ჯიმშერ მაღალ-ფერიშვილი დაბალი ტანისაა, ჩასუქებული, შუახნის ჭაღარა შერთული კაცია; მის წითურ ლოყებზედ არწივისებური ცხვირი წამოსკუპებულა და ჭროღა თვალები წამოხურულ ხშირ წარბებიდან მკაცრად გამოიყურებიან.

თ-დ ჯიმშერ მაღალ ფერიშვილი დამსჯელ რაზმის მოსვლას მოელოდა და იმისკენ ეჭირა თვალი. დაინახა თუ არა, კანცელარიის წინ დამსჯელი რაზმი, მაშინვე გულზედ „ანნა“ ჩამოიკიდა, ბაბორიანი შინელი წამოისხა და გასწია მისაგებებლად დამსჯელ რაზმის აფიცერთან; ამას ბოქაულიც თან ახლდა.

თ-დ ჯიმშერმა მოწიწებით თავი დაუკრა და ორივეს მოახსენა:

— Пожалуйте ко мнѣ!

ესენი ცხენებიდან ჩამოხტნენ, მიესალმენ თ-დ ჯიმშერს, ერთმანეთს გამოეცნაურენ.

თ-დ ჯიმშერმა იგინი სახლში შეიპატიჟა.

რაზმის აფიცერი ახალგაზრდა ყმაწვილი შატენია, და მის სახეს დარდიმანდული გამომეტყველება აქვს.

ბოქაული კი შუა ტანისაა, ჩასუქებულა ისე, რომ ყოველი მისი ასო ტანისა დარგვალებულა, ქერა თმიანი, მისი ცბიერი წვრილა თვალები აქეთ-იქით აბეცებენ.

— აქეთ, ბუხართან მობრძანდით! ეპატიჟება თ-დი ჯიმშერი,—არ შეგცივდეთ.

რაზმის აფიცერი და ბოქაული ხელების ფშვნეტით შემოუსხდებიან ბუხარს.

თ-დი ჯიმშერი ოჯახში დაფაცურდება, განკარგულებას გასწევს ამათ დახვედრაზედ.

სტუმრები რომ პატარა გათბებიან, ბოქაული მიუბრუნდება თ-დ ჯიმშერს და ეტყვის:

— Князь, если можно, пошлите кого нибудь къ урядинку, чтобъ онъ явился бы сюда.

თ-დ ჯიმშერმა მაშინვე დააძახებინა ურიადნიკი.

ურიადნიკი შემოვა და ბოქაულს გამოეჭიმება.

— სოფელი შეჰყარეთ, უბრძანებს ბოქაული,—კანცელარიის წინ და ამასთანავე ცხენებს და ყაზახებს ბინა უნახეთ

მანამ სოფელი თავს მოიყრიდა, ახლომახლო თ-დ ჯიმშერის სახლიკაცებმა რომ გაიგეს რაზმის მოსვლა, ყველა გაეშურა მაღალ-ფერიშვილის სახლისკენ ამბის გასაგებათ,

ჯიმშერის სახლიკაცებმაც გაიცნეს რაზმის აფიცერი და ბოქაული.

ბევრი რამ ითქვა აქითურ-იქითური და ბოლოს ბოქაული ბრძანების კილოთი გამოუცხადებს თ-დ ჯიმშერს და აქ დამსწრე მის სახლიკაცებს:

— ჩვენ გამოგზავნილნი ვართ მთავრობისაგან, რომ ეს თქვენი მხარე დავამშვიდოთ და, ვინც ურევს სოფელს, უნდა დავსაჯოთ, გთხოვთ თქვენ, დაგვეხმაროთ და გვიჩვენოთ ის მავნე პირნი, რომელნიც ხელმწიფისა და მთავრობის წინააღმდეგნი არიან.

— ჩვენ ბევრჯელ გვიჩვენებია მთავრობისათვის მავნე პირნი, მიუგო დამტვრეული რუსული ენით თ-დ. ჯიმშერმა,—დაუჭერიათ და ისევ გამოუშვიათ. რასაკვირველია, ის მავნე პირნი იგებდნენ, ვინ აძლევდა მათ მთავრობას ხელში და სდევნიან მთხრობელს, ამის გამო ჩვენ შიშში ვართ და გვეძძიმება, რომ ის მავნე პირნი მოგცეთ ხელში.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რიხიანის კილოთი უპასუხა თ-დ. ჯიმშერს ბოქაულმა,—მთავრობა სასტიკ ზომებს იღებს მათს წინააღმდეგ და ამასთანავე თქვენს ინტერესებს იცავს, და მე მგონი, რომ თქვენის ინტერესების გულისთვის თავი უნდა გამოიდოთ და გვიჩვენოთ, ვინ არიან ამ სოფლების ამრევნი.

— ჩვენ ცალკე მოვილაპარაკოთ მაგ საქმეზედ, წარმოსთქვა ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა კაცმა,—და პასუხი ისე მივცეთ.

— დიახ, დიახ! ძალიან კარგი იქნება, დაუმატა მეორემ.

— ნება გვიბოძეთ, მოწიწებით სთხოვს თ-დ. ჯიმშერი ბოქაულს,—მოვილაპარაკებთ ცალკე და პასუხს მოგართმევთ.

Пожалуйста, сдѣлайте одолженіе! ცბიერის ღიმილით მიუბრუნდება ყველას.

II

მეორე ოთახში გავლენ თ-დ. ჯიმშერი და მისი სახლი-კაცები.

— აბა, ვინ უნდა ვაჩვენოთ? დაიწყებს თ-დ. ჯიმშერი.

— უნდა ვაჩვენოთ ყველა ათის თავები და ასის თავები და ვინც წითელ რაზმებში არიან გასულები, წარმოსთქვა ერთმა მისმა სახლიკაცმა.

— ეგენი, რასაკვირველია, ყველანი უნდა ვაჩვენოთ, მაგაზედ მე წინააღმდეგი არა ვარ, განაგრძობს თ-დ. ჯიმშერი, —მე თითონ უჩვენებ ყველას, მაგრამ იმაზედ რატომ არაფერს ამბობთ, იმ ჩვენს სახლიკაცზედ?

— აბა, რომელზედ? ეკითხებიან აქეთ-იქიდამ.

— აი, ის ჩვენი დამლუპველი ძმა და ბიძაშვილი სანდრო, რომ გლეხებს გვიბრიყვებს და ეუბნევა, ღალებს ნუ მისცემთო, ჯავრობს თ-დ. ჯიმშერი,—იმან აგვირია მთელი ეს ხეობა და ის კიდევ უნდა დავაფასოთ?!

— არა, ძმაო ჯიმშერ, მე იმის ცოდოში ვერ ჩავდგები, მიუგო ერთმა მოხუცებულმა სახლიკაცმა,—ჯერ ერთი ჩვენი ძმა და სახლი-კაცია და მეორე ის რომ იმას ესეთი დანაშაულობა არა მიუძღვის რა ჩვენს წინაშე.

— იმაზე მეტი რაღა გინდოდათ, არა ჯერდებოდა თ-დ. ჯიმშერი,—აი, გუშინაც მოვიდა ერთი ჩემი ხიზანი და მეუბნევა: ბატონო, სანდრო გვეუბნევა, ღალა არ მისცეთო და ჩვენ რა ვქნათ, გვეშინიან, ერთობის კაცია და კომიტეტში დაგვაბეზღებსო.

— არა, ჯიმშერ, გააწყვეტინებს მოხუცებული სახლი-კაცი,—შენ რომ კერძო ინტერესი გქონდეს იმასთან, ეგ ჩვენი ბრალი არ არის, იმას თავი დავანებოთ და, აი, გლეხ-კაცებიდან დავასახელოთ, მგონი, ყველანი ამაზედ დამეთანხმებიან.

— დიახ, დიახ! იმას თავი დავანებოთ, კვერს დაუკვრენ დანარჩენები,—სხვა არა იყოს რა, ჩვენი სისხლი და ხორცია, აბა, როგორ გავიმეტოთ?

რაღას იზამდა თ-დ. ჯიმშერი, ვერა გააწყო რა და გაჩუმდა.

— აბა, დაასახელეთ! დაიწყო ისევ მოხუცებულმა სახლი-კაცმა.

— ასის თავი ილო კვინჩხაშვილი, დაასახელა თ-დ. ჯიმშერმა.

— შენ, ბესარიონ! მოუბრუნდა მოხუცებული ახალგაზდა ყმაწვილს,—დასწერე, დროა შეადგინე.

ბესარიონი ხელში ქაღალდს და კალამს აიღებს და დაიწყებს წერასა.

— მეორე ასის თავი ხამელ-ხევიდგან —ბესო ამბროლაური, დაასახელა მეორე სახლი-კაცმა.

— ბერო ციცნიაშვილი, გოგია ბერიკელაშვილი, იასონ ციმბირელი, ჩამოთვალა თ-დ. ჯიმშერმა,—ესენი ყველანი ათის თავები არიან.

— ია კეკელიძე, ჩასწერე ბესარიონ! ჩააწერინა მოხუცებულმა სახლი-კაცმა.

— სანდრო თოთრონაშვილი, ტურო თოთრონაშვილი, ჩასწერე მაგ სიაში ეუბნევა ერთი სახლი-კაცი,—მაგათ ღალა არ მომცეს და მაგათი ჯავრი უნდა ამოვიყარო, ერთი კარგათ, მინდა, ვაცემინო.

ბესარიონმა ყველა ეს ზემო დასახელებულნი ჩასწერა სიაში.

სია გადასცეს თ-დ. ჯიმშერს, რადგან თითონ იკისრა ამ სიის გადაცემა ბოქაულზედ და ახსნა განმარტება ამ სიისა, თუ კი მოითხოვდა რასმე ბ-ნი ბოქაული.

გავიდენ, სადაც ყაზახის აფიცერი და ბოქაული იყვნენ.

— Ну что, кончили! დამცინავის კილოთი მიეგება ბოქაული.

Какъ-же вотъ списокъ представляемъ, მიუგო თ-დ. ჯიმშერმა და აწოდებს სიასა.

— Ну, за это спасибо, მადლობას გადაუხდის ბოქაული, შემდეგ აფიცერს მიუბრუნდება,—ну теперь за дѣло примемся.

— Да, я думаю. что время, какъ видно, уже крестьяне собрались, ფანჯრიდან თვალს მოავლებს ყაზახის აფიცერი.

— პატარა მოითმინეთ, თქვენ დაღალული ხართ, ცოტა მიირთვით რამე, მანამდის სადილიც მოგვესწრობა, დაურუსულებს თ-დ. ჯიმშერი.

— Мы непрочь отъ закуски, довольно проголодались. Ну, что вы скажете. мой другъ, სიამოვნების ღიმილით შეხედავს ყაზახის აფიცერს.

— Я то съ удовольствіемъ выпью рюмку водки.

ამ ლაპარაკში, რომ არიან, ხელად გაშლიან სუფრას, პატარას დანაყრდებიან, თითო ოროლა ჭიქა ღვინოს გადაჰკვრენ და ყველანი გავლენ, სადაც ხალხია თავმოყრილი.

Legatus

## ბიბლიოგრაფია

**გელათის კრებული**

(XV საუკ. № 674)

დაწერილია თეთრ, სქელ, ფუყე ქაღალდზე, ორ სვეტად. შეიცავს მრავალს წერილს. ყველა ძველი დროის ნაწერების პირია. საყურადღებოა სიტყვები და სწავლ. ბასილ. დიდისა, გიორგი ნიკომიდიელისა, იოანე ოქროპირისა გრ. ღვთისმეტყველისა, ფილოსოფოს ნიკიტასი და სხ. და აგრეთვე ცხოვრება წმ. გიორგისა, ნიკოლოზისა; ბარბარესი, დიმიტრისა. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა კიდევ ორი წერილი.

**პირველი:** „მიმოდასლვა მოციქულთა“. მათე მოციქული ქრისტიანობის საქადაგებლად წავიდაო კაცის მჭამელთა ქვეყანაში. აქაურნი კაცნი არცა პურსა ჰამდეს, არცა წყალსა სუმიდეს, არამედ იყვნეს მჭამელ ხორცსა კაცთასა და სუმიდეს სისხლსა მათსა. ყოველი კაცი, რომელი მივიდის მათსა, შეიპყრიან და აღმოუხუნიან თუალნი... მათე რომ მივიდა, შეიპყრეს, შეამწყვდიეს, ჭამა დაუპირეს. მის სახსნელად ქრისტემ გაგზავნა ანდრია მოციქული... წერილი შინაარსის მიხედვით აპოკრიფაა.

**მეორე:** „გარემოცვა კონსტანტინეპოლისა სკვითთა მიერ“. ეს ისტორიული შინაარსისაა. მოქმედება სწარმოებს მეექვსე საუკუნის გასულს და მეშვიდის დამდეგს. მოქმედებაში მონაწილეობას იღებს ოთხი მსოფლიო: ჩრდილოეთი (სკვითნი, „რომელ არიან, რუსნი“, აღმოსავლეთი (სპარსეთი)., დასავლეთი (ბიზანტია) და სამხრეთი (არაბეთი). დიდძალი სკვითთა (რუსთა ძეგლის მოწმობით) ლაშქარი ეცემა კონსტანტინეპოლის ხმელეთით და ზღვით. ბრძოლა დიდხანს გასტანს. ბარბაროზთა ხაყანი მძვინვარებს, ჟლეტავს ბევრ ათასს ბერძენს, მის მხრივაც იღუპება უამრავი მეომარი ზღვაში ქარიშხალი და ეგრედწოდებული „ბერძენთა ცეცხლი“ უწყალოდ მუსრავს მტერს. ამავე დროს სპარსთა მეფის ლაშქარი არბევს იმპერიის აღმოსავლეთ ქვეყნებს. მსოფლიო სახელმწიფოს დაშლა-დარღვევის ნიშნებია თითქო. იმპერატორი იმპერატორს სცვლის, შვილი კი არა სჩანს სამღვდელოება და მოქალაქენი განუწყვეტლივ ლოცულობენ, ევედრებიან ვლაქერნის ღვთისმშობელს დაიცვას მშფობი ქალაქი. ერთი დაკვრაც და გათავდა: იყო და აღარ არის. ყველას თვალი აფრიკისკენ იხედება. იქ არის მათი სასოდალი ერეკლე. დაბარებული გაჩქარებით მოდის. ხაყანს აშოშმინებს. ნავში სხამს ლაშქარს, ტრაპეზუნტს. მიეშურება, სამეგრელოს (ჰანეთის) საზღვრებში შემოდის, იმხრობს ქართველებს, ჩრდილოეთ ველურების ხაყანს ცოლად აძლევს თავისს ასულს, იჭერს ტფილისს, შედის სპარსეთში, ამარცხებს ხოსროს, ანთავისუფლებს ტყვეებს, ამწესებს ახალს მეფეს (სირო ყაენს) ეს უთმობს იერუსალიმიდამ გამოტაცებულს (614 წელს) ქრისტეს ცხოველ მყოფელ ჯვარს. ერეკლე „საქართველოს გზით“ (ტფილის — არზრუმი) მიდის იერუსალიმს, იქ წინანდელ ადგილსვე ასვენებს ქრისტეს ჯვარს და დიდის დიდებით ბრუნდება კონსტანტინეპოლს. მალე ჩნდებიან არაბები, იჭერენ აღმოსავლეთს და მიესევიან კოსტანტინეპოლს, იბრძვიან მედგრად, მაგრამ ამაოდ...

ეს უკანასკნელი წერილი რამდენიმე ვარიანტად დაცულია ჩვენს ხელნაწერებში (მეათე საუკუნისა 1042 წლ. და სხ.). 1042 წლისა ჩვენ უკვე დავბეჭდეთ და ამასთან შედარებით სხვებსაც მალე გამოვცემთ ქართულადა და რუსულათ.

**მ. ჯ.**

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ხერხეულიძე**

## განცხადება




**ქართული ხალხური სიმღერები და**

**ლ ე ქ ს ე ბ ი**

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფ. 50 კ.